შენიშვნები და კომენტარები
„კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით

კანონპროექტის მიხედვით, „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ კანონის 20-ე მუხლის მე-3 პუნქტს ემატება „კ“ ქვეპუნქტი“, რომლის მიხედვით ქობულეთის აღკვეთილში დაიშვება თევზჭერა, ნადირობა და სამონადირეო მეურნეობის მოწყობა.

ქობულეთის აღკვეთილი მოიცავს ისპანის ტორფიან ჭაობს, რომელიც მსოფლიო მნიშვნელობის უნიკალური პერკოლაციური გუმბათისებრი ჭაობია. წყლის კარგვა მხოლოდ აორთქლებით ხდება. ეს ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით უნიკალური, თითქის ხელუხლებელი ჰაბიტატებია. ტბას ზემოდან საბანივით ახურავს 25-45 სმ სისქის ცოცხალი სფაგნუმი (თეთი ხავსი), რომელიც არასოდეს არ იფარება წყლით. მას ღრუბელივთ შეუძლია შეიწოვოს საკუთარ ზონაზე 25-ჯერ მეტი წყალი. წყალი სფაგნუმთან ერთად ქმნის გუმბათს, რომელიც შემოგარენიდან 4-5 მეტრით მაღლაა წამოწეული. გუმბათის ზედაპირი სრულიად გლუვია, ყოველგვარი ბორცვაკების გარეშე. ისპანის ტერიტორიაზე გადაადგილება შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ხის თხილამურებით.

ამ ეკოლოგიური თავისებურებების გამო, აქ ნადირობა და თევზჭერა შეუძლებელია. ამასთანავე, აღკვეთილის ფართობი ძალზე პატარაა და დასახლებულ პუნქტებთან უშუალო სიახლოვეშია.

შეუძლებელია კანონპროექტის მიღების მიზეზი იყოს ტყის კოდექსში განხორციელებული ცვლილებები (როგორც ეს განმარტებით ბარათშია მოცემული), ვინაიდან აქ ტყე საერთოდ არაა.

ამასთანავე, ისპანი II 1996 წლიდან რამსარის კონვენციით დაცული საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ტერიტორიაა.

აღკვეთილი ეკოტურისტული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ღირსშესანიშნაობაა, რის შესახებაც ინფორმაცია შეიძლება მოიძიოთ დაცული ტერიტორიებისა და ტუზიზმის სააგენტოების, ასევე სხვადასხვა ტურ-ოპერატორის ვებ-გვერდებზე, მაგალითად:

- http://nta.ge/index.php?page=tour&tour_id=11&lang=3;
- http://visit-adjara.com/skins/geo/index.php?lang=geo&request=custom&id=24
- http://www.visitbatumi.travel/index.php?a=main&pid=35&lang=geo
- http://www.dpa.gov.ge/index.php?site-id=39&page=4&id=40

ამრიგად, ამ მუხლის დამატება მოქმედ კანონში არაფერს ამ მოგვცემს პრაქტიკული თვალსაზრისით (შეუძლებელია სამონადირეო მეურნეობის წარმოება, ნადირობა, თევზაობა); სამაგიეროდ, სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის საქართველოს საერთაშორისო გარემოსდაცვით ორგანიზაციებთან, კონვენციებთან, დონორებთან მიმართებაში და ზიანს მიაყენებს ქობულეთის აღკვეთილის ეკოტურისტულ იმიჯს.

კანონპროექტის მიხედვით, „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტში შედის ცვლილება, რომლის თანახმადაც კოლხეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიასა და ქობულეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე დაიშვება თევზჭერა, ნადირობა და სამონადირეო მეურნეობის მოწყობა.

კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „კოლხეთისა და ქობულეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიების ფართობი და საზღვრები დგინდება ამ კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად“. მაგრამ ამ კანონის 50-ე მუხლი ამჟამად ამოღებულია. ამდენად გაუგებარია, რას გვთავაზობს კანონპროექტი.

ეს საკითხი დაზუსტებას მოითხოვს, ვინაიდან კანონის მე-10 მუხლის მე-1 პუნქტის თანახმად, „კოლხეთისა და ქობულეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიები იქმნება შესაბამისად კოლხეთის ეროვნული პარკის, ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და ქობულეთის აღკვეთილის გარშემო, მათ მიმდებარე სახმელეთო ტერიტორიებზე“. ეს კი, შეიძლება მოიცავდეს დასახლებულ პუნქტებსაც, სადაც ნადირობა აკრძალულია კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე შეუძლებელია თევზაობაც, ვინაიდან კანონში ნათლადაა აღნიშნული „სახმელეთო ტერიტორიები.“